საქართველოს ორგანული კანონი

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.12.2018, სარეგისტრაციო კოდი: 110060000.04.001.016256) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. გენერალური პროკურორის აქტები

გენერალური პროკურორი უფლებამოსილია გამოსცეს ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები – ბრძანებები.“.

2. 84-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

„12. 2019 წლის 1 ივლისამდე პროკურატურის თანამშრომლის მიერ ჩადენილ დანაშაულს, საგამოძიებო ქვემდებარეობის შესაბამისად, იძიებს საქართველოს პროკურატურა.“.

3. 85-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. გენერალური პროკურორი ამ კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივ დევნას სახელმწიფო ინსპექტორის მიმართ კანონით დადგენილი წესით ახორციელებს 2019 წლის 1 ივლისიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

ქუთაისი,

27 დეკემბერი 2018 წ.

N4257-რს